

საქართველოს კანონი

„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 22, 19.06.2007, მუხ. 194) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-8 მუხლის მე-3–მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამართლებრივ ზედამხედველობას ექვემდებარება საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტები. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტების ექსპერტიზისა და გამოქვეყნების პროცედურა განისაზღვრება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია სამართლებრივი დასკვნა მისი გაცემისთანავე გადაუგზავნოს შესაბამის ზედამხედველობის ორგანოს.

5. თუ ზედამხედველობის ორგანო ნორმატიულ აქტს კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნევს, იგი უფლებამოსილია ნორმატიული აქტის გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მიმართოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირს) ამ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ მოტივირებული წერილობითი მოთხოვნით. ზედამხედველობის ორგანომ წერილობით მოთხოვნაში უნდა მიუთითოს ის ნორმები, რომლებსაც ეწინააღმდეგება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული (გამოცემული) ნორმატიული აქტი.“

2. მე-9 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია სამართლებრივი დასკვნა მისი გაცემისთანავე გადაუგზავნოს შესაბამის ზედამხედველობის ორგანოს.

5. ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია ნორმატიული აქტის გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მოსთხოვოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირს), ცვლილება შეიტანოს ნორმატიულ აქტში ან გააუქმოს იგი, თუ ზედამხედველობის ორგანო ამ ნორმატიული აქტის არსებული სახით მიღებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.“

მუხლი 2.

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №33, 09.11.2009, მუხ. 209).

მუხლი 3.

ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 15 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი